სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
NATIONAL FORENSICS BUREAU

№ 5002473425
05/05/2025

5002473425

მოქალაქე ტარიელ სინჯარაძეს

(საქართველო. თბილისი მიხეილ ჭიაურელის I ჩიხი N 10 ბ. 6)

ბატონო ტარიელ,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი მომართვის (ბიუროს 2025 წლის 14 მარტის რეგისტრაციის N1001876425) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N002719225 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 08 ფურცლად;

პატივისცემით,

გიორგი თვაური
ბიუროს უფროსი

თბილისი, 0162, ი. ჭავჭავაძის გამზ. 84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის გამზ. 2ª
ბათუმი, 6000 პ. მელიქიშვილის ქუჩა 102

84 Chavchavadze Ave., Tbilisi 0162
2ª I. Chavchavadze Ave., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili Str., Batumi 6000

+995 32 2 258 484 | info@expertiza.gov.ge | expertiza.gov.ge



ფოტო 3



ფოტო 4



ფოტო 9



ფოტო 7



ფოტო 8

1. СП-13-102-2003

2. СНиП 2-01. 07-85* დატვირთვები და ზემოქმედება

3. სნწ პნ. 01.01-09 "სეისმომედეგი მშენებლობა"

4. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხ. და საზ. შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია. თბილისი 1992 წ.

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია

5002473425

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ.
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი _____

თარიღი 05.05.2025 (ხელმოწერა) ბ.ა



ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1



ფოტო 2

შესაძლებლობის დადგენის მიზნით.

ქ. თბილისი, საირმის ქ. #5-ში მდებარე ექვსსართულიანი საცხოვრებელი კოპრუსი პარკინგის სართულით აშენებულია დაახლოებით 2014-2016 წლებში და განთავსებულია დახრილ რელიეფზე. გეგმაში სწორკუთხა ფორმისაა, გაბარიტული ზომებით დაახლოებით 11,0x20,0 მ. შენობის კონსტრუქციული სქემა გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის კარკასულ ვარიანტში. სვეტების განივი კვეთი 50,0x60,0 - 40,0x40,0 სმ-ის დიაპაზონში იცვლება. რიგელების განივი კვეთი 50,0x50,0 - 40,0x50,0 სმ-ია. სვეტების ბიჯი გრძივი მიმართულებით 3,2-6,1 მეტრის დიაპაზონში იცვლება, ხოლო მალი 3,6-5,3 მ-ია. სართულშუა გადახურვები შესრულებულია მონოლითური რკინაბეტონის ფილით სისქით 18,0 სმ. კედლის შევსება ამოყვანილია აგურითა და ბეტონის წვრილი ბლოკებით ქვიშა-ცემენტის ხსნარზე, ხოლო პარკინგის სართულის კედლები შესრულებულია მონოლითური რკინაბეტონით. სახურავი ბრტყელია და მოწყობილია რულონური ბურულით. (ფოტო 1, 2).

დღევანდელი მდგომარეობით, ქ. თბილისი, საირმის ქ. #5-ში მდებარე საცხოვრებელი კოპრუსის ფასადზე, მეექვსე სართულის დონეზე, კედლის შევსებაში ფიქსირდება დახრილი ზედაპირული ბზარი (ფოტო 3). შენობის შიდა სივრცეში ჩატარებულია სარემონტო მოპირკეთებითი სამუშაოები და დაზიანებები არ შეინიშნება (ფოტო 4, 5). ასევე, დაზიანებები არ ფიქსირდება პარკინგის სართულზეც (ფოტო 6). სახურავი სამი მხრიდან შემოსაზღვრულია 130 სმ სიმაღლის პარაპეტით, რომელიც ამოყვანილია სვეტებს შორის აგურის შევსებით, სისქით 30 სმ (ფოტო 7).

დამკვეთის ინფორმაციით, საკვლევ შენობაზე დაგეგმილია, მეშვიდე სართულის დაშენება მსუბუქი კონსტრუქციებით, კერძოდ ლითონის კარკასით, ვიტრაჟული შევსებითა და სენდვიჩპანელების გადახურვით (ფოტო 8, 9).

ქ. თბილისის მერიის არქიტექტურულ საიტზე ატვირთული, შპს „არკოდი“-ს მიერ საირმის ქ. #5-ში მიმდინარე მშენებლობასთან დაკავშირებით, პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე გაცემული დასკვნით (ავტორი: ვ. ჯაფარიძე) და გეოლოგიური კვლევით (ავტორი: მ. სამხარაძე) დგინდება, რომ საკვლევი შენობა კოჭოვანი ლენტით, განივი კვეთით 150x60(h) სმ დაფუძნებულია ძირითად ქანებზე. ბეტონის კლასი შეადგენს B20-ს, ხოლო არმატურის კლასი A-III და A-I.

საკვლევ შენობაზე, მსუბუქი კონსტრუქციებით მეშვიდე სართულის დაშენებით მაქსიმალური დატვირთვა (მუდმივი და დროებითი დატვირთვების ჯამი) იზრდება დაახლოებით 53,0 ტონით, რაც ნიშნავს, რომ ერთ კვადრატულ მეტრზე დამატებითი დატვირთვა შეადგენს 250 კგ/მ²-ს. დატვირთვების ნამატი მინიმალურია და კონსტრუქციული თვალსაზრისით საძირკვლებზე, რომლებიც დაფუძნებულია ძირითად ქანებზე უარყოფით ზეგავლენას ვერ მოახდენს. პარკინგის სართულზე, შუა რიგის სვეტზე მოსული დატვირთვა სეისმური დატვირთვის გათვალისწინებით შეადგენს დაახლოებით 300 ტონას. სვეტის განივი კვეთის ფართობი 3000 სმ²-ია და B20 კლასის ბეტონის ღერძულა კუმშვაზე პრიზმული სიმტკიცის გათვალისწინებით Rb=117 კგ/სმ², სვეტის მზიდუნარიანობა იქნება 3000x117=351000=351,0ტ>300,0ტ. სვეტის მზიდუნარიანობა უზრუნველყოფილია, შესაბამისად საკვლევ შენობაზე მსუბუქი კონსტრუქციებით ერთი სართულის დაშენება შესაძლებელია. აქვე აღვნიშნავთ, რომ ზემოთ მოყვანილი გაანგარიშება მიახლოებითია (ექსპერტიზაზე საპროექტო დოკუმენტაცია არ იყო წარმოდგენილი) და დაზუსტებული უნდა იქნეს დაშენების პროექტის შედგენის დროს.

სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას, შესაძლებელია ადგილი ქონდეს დინამიური (ვიბრაციული) დატვირთვების წარმოქმნას, რამაც ქვედა სართულზე გარემონტებულ ფართებში, შეიძლება ზედაპირული ბზარების განვითარება გამოიწვიოს ამიტომ, სამუშაოები უნდა განხორციელდეს მცირე სიმძლავრის მექანიზმებით, რომელთა მუშაობით გამოწვეული ვიბრაციები მინიმალურია.

ამრიგად, ქ. თბილისში, საირმის ქ. #5-ში (ს/კ 01.10.14.020.028) მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. საკვლევ შენობაზე, მსუბუქი კონსტრუქციებით ერთი სართულის დაშენება შესაძლებელია. დაშენების შედეგად დატვირთვების მატებით შენობის ტექნიკური მდგომარეობის გაუარესება მოსალოდნელი არ არის, თუმცა სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას, შესაძლებელია ადგილი ქონდეს დინამიური (ვიბრაციული) დატვირთვების წარმოქმნას, რამაც ქვედა სართულზე გარემონტებულ ფართებში, შეიძლება ზედაპირული ბზარების განვითარება გამოიწვიოს. ამიტომ, სამუშაოები უნდა განხორციელდეს მცირე სიმძლავრის მექანიზმებით, რომელთა მუშაობით გამოწვეული ვიბრაციები მინიმალურია. საკვლევ შენობაზე დაშენების სამუშაოები უნდა განხორციელდეს შესაბამისად დამუშავებული პროექტის მიხედვით.

ავთანდილ რომელაშვილი

გამოყენებული მასალები

საქართველოს ბანკი

ლევან სამხარაულის სახ სასამ ექსპ
ერ ბიურო
ლევან სამხარაულის სახ სასამ ექსპ
ერ ბიურო
LTD L.SAM.SAK.SAS.EX.ER.BIU
თბილისი
ბოხუას #23

ტერმინალის ID: POS1UB55
მერჩანტის ID: 7E19129
ქვითარი 0155
ყიდვა

დადასტურებულია

თანხა 1'501.00₾
მომსახურების საკომისიო 1.00 ₾

VISA
4116 34•• •••• 3385
AID A0000000031010
ავტორიზ. კოდი: 000
RRN: 212773
512512576218
05-05-25 16-42-20

PIN VERIFIED

04325

მიღება-ჩაბარების აქტი № 3002704325

სსბ

...ბილისი		დასრულების თარიღი	05/05/2025

...ერი:	1001876425	მომსახურების ტიპი:	ჩვეულებრივი
...ილი:	14/03/2025	საქმის ნომერი:	
...მერი:	2000387125	ხელშეკრულების თარიღი:	14/03/2025 - 25/04/2025
...რი:		შეთანხმების თარიღი:	
...	002719225		

...:	
...:	ტარიელ სინჯარაძე
	01024029494

...კოდი ...3 N14. ...თი)	ობიექტების რაოდენობა	საექსპერტო მომსახურების ტარიფი კვლევის ერთეულზე	თანხა
...იერების ...ობის ...ადგენა	1	1500	1500

ჯამი: 1500.00

საბოლოო ფასი: 1500.00

შემსრულებელი ექსპერტ(ებ)ი (სპეციალისტი):		
ავთანდილ რომელაშვილი		
სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი		

სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი / პასუხისმგებელი პირი	მიმღები პირი
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)
	გაცემის თარიღი

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
NATIONAL FORENSICS BUREAU

04325

მიღება-ჩაბარების აქტი № 3002704325

რეგიონი	თბილისი	დასრულების თარიღი	05/05/2025

დოკუმენტი:			
რეგისტრაციის ნომერი:	1001876425	მომსახურების ტიპი:	ჩვეულებრივი
რეგისტრაციის თარიღი:	14/03/2025	საქმის ნომერი:	
ბელშეკრულების ნომერი:	2000387125	ხელშეკრულების თარიღი:	14/03/2025 - 25/04/2025
შეთანხმების ნომერი:		შეთანხმების თარიღი:	
დასკვნის ნომერი:	002719225		

ექსპერტიზის დამკვეთი :	
სახელი და გვარი:	ტარიელ სინჯარაძე
პირადი ნომერი:	01024029494

შესრულებული კვლევის კოდი (საქ.მთავრობის 16.01.2023 N14. დადგენილების მიხედვით)	ობიექტების რაოდენობა	საექსპერტო მომსახურების ტარიფი კვლევის ერთეულზე	თანხა
13006. - ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა	1	1500	1500
			ჯამი: 1500.00
			საბოლოო ფასი: 1500.00

შემსრულებელი ექსპერტ(ებ)ი (სპეციალისტი):	
ავთანდილ რომელაშვილი	
სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი	

სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი/პასუხისმგებელი პირი	მიმღები პირი
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)
	გაცემის თარიღი



ფოტო 5



ფოტო 6

002719225

ექსპერტის დასკვნა № 002719225

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი:

მისამართი: საქართველო, თბილისი მიხეილ ჭიაურელის I ჩიხი N 10 ბ. 6

სახელი და გვარი: ტარიელ სინჯარაძე

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები:

ავთანდილ რომელაშვილი / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 35 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ, ქ. თბილისი, საირმის ქ. #5-ში აშენებულ და ჩაბარებულ კორპუსზე ს/კ 01.10.14.020.028 გვსურს მსუბუქი კონსტრუქციებით (სენდვიჩი და ვიტრაჟული) სართულის დაშენება. ტექნიკური მდგომარეობა და ზეგავლენა ამ შენობაზე რომ შეგვიფასოთ.

შემოსვლის თარიღი: 14/03/2025 წ

გასვლის თარიღი: 05/05/2025 წ

დასკვნა

ქ. თბილისში, საირმის ქ. #5-ში (ს/კ 01.10.14.020.028) მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. საკვლევ შენობაზე, მსუბუქი კონსტრუქციებით ერთი სართულის დაშენება შესაძლებელია. დაშენების შედეგად დატვირთვების მატებით შენობის ტექნიკური მდგომარეობის გაუარესება მოსალოდნელი არ არის, თუმცა სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას, შესაძლებელია ადგილი ქონდეს დინამიური (ვიბრაციული) დატვირთვების წარმოქმნას, რამაც ქვედა სართულზე გარემონტებულ ფართებში, შეიძლება ზედაპირული ბზარების განვითარება გამოიწვიოს. ამიტომ, სამუშაოები უნდა განხორციელდეს მცირე სიმძლავრის მექანიზმებით, რომელთა მუშაობით გამოწვეული ვიბრაციები მინიმალურია. საკვლევ შენობაზე დაშენების სამუშაოები უნდა განხორციელდეს შესაბამისად დამუშავებული პროექტის მიხედვით.

ავთანდილ რომელაშვილი

გამოკვლევა

2025 წლის 23 აპრილს ვიზუალურად შესწავლილი იქნა, თბილისში, საირმის ქ. #5-ში (ს/კ 01.10.14.020.028) მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ტექნიკური მდგომარეობა. მასზე, მსუბუქი კონსტრუქციებით ერთი სართულის დაშენების